



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 22

2023 წლის 7 მარტი

ქ. თბილისი

2023 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის
გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების
დამტკიცების შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-7
პუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი
წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010
წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“
ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის
(N255632, 06.03.2023) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2023 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების
საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პროექტის თავფურცელის ფორმა ამ ბრძანების
დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების
დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პირადი ინფორმაციის (პროფესიული ბიოგრაფია)
ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პროექტში ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქის
თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ
ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების
ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ
ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N10 შესაბამისად;
12. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11 შესაბამისად;
13. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი თორნიკე სხირტლაძე და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი ნათელა პაპავა, ხოლო ფინანსურ კონსულტანტებად ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ავთანდილ ჯარიაშვილი და ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი მარიამ ჯაბნიაშვილი
14. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
15. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

